



პირის ღრუს ჰიგიენისტი

პროფესიული სტანდარტი

სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი

2018

1. დასახელება (ქართულად): პირის ღრუს ჰიგიენისტი

2. დასახელება (ინგლისურად): Dental Hygienist

3. პროფესიული სტანდარტის სარეგისტრაციო ნომერი: 09110 - ს

4. პროფესიული სტანდარტის შესაბამისი კოდი „დასაქმების საერთაშორისო სტანდარტული კლასიფიკატორის“ (ISCO-08) მიხედვით: 3251

5. დასაქმების სფეროს აღწერა: პირის ღრუს ჰიგიენისტი ახორციელებს პირის ღრუს დიაგნოსტიკურ დათვალიერებას, ატარებს კბილების პროფესიული წმენდის პროცედურას და ისეთ პრევენციულ ღონისძიებებს, როგორებიცაა, კბილის ზედაპირებზე ფტორის აპლიკაცია და ფისურების ჩაბეჭდვა. ამასთან ერთად, პირის ღრუს ჰიგიენისტი ასწავლის პაციენტს პირის ღრუს მოვლის ჰიგიენურ წესებს, კონსულტაციას უწევს პაციენტს სწორი კვების მნიშვნელობაზე და პირის ღრუს ჯანმრთელობაზე მისი გავლენის შესახებ.

პირის ღრუს ჰიგიენისტი დამოუკიდებლად ასრულებს პირის ღრუს მოვლის პროფილაქტიკურ და საგანმანათლებლო ღონისძიებებს. ამასთანავე, პირის ღრუს ჰიგიენისტს შეუძლია ექიმი-სტომატოლოგის ინსტრუქციის შესაბამისად შეასრულოს სამკურნალო ჰიგიენური მანიპულაციები, პაციენტის პირის ღრუს ჯანმრთელობის ხელშეწყობისა და შენარჩუნების მიზნით.

6. სამუშაო გარემო და დასაქმების შესაძლებლობები: პირის ღრუს ჰიგიენისტი კარგად ვენტილირებულ, დახურულ სამედიცინო კაბინეტში მუშაობს სპეციალურად მოწყობილ სტომატოლოგიურ სავარძელთან. მას უწევს სამუშაო დროის დიდი ნაწილის მჯდომარე მდგომარეობაში გატარება, პირის ღრუს მცირე ანატომიურ წარმონაქმნებთან მუშაობისას მხედველობის დამაბვა. მუშაობის პროცესში სხვადასხვა სამედიცინო ინსტრუმენტებისა და მედიკამენტების გამოყენება.

პირის ღრუს ჰიგიენისტი შესაძლებელია დასაქმდეს სტომატოლოგიური სერვისის მიმწოდებელ დაწესებულებებში, ჰოსპიტალებში, საზოგადოებრივი ჯანდაცვის კლინიკებში, სკოლამდელი და სკოლის საგანმანათლებლო დაწესებულებებში, პროფესიულ სტომატოლოგიურ დაწესებულებებში, სადაზღვევო კომპანიებში, სტომატოლოგიური მასალებისა და დანადგარების კვლევით-მარკეტინგულ ორგანიზაციებში (კომპანიებში).

7. აუცილებელი პროფესიული მოთხოვნები: კანონმდებლობით არ არის დადგენილი.

8. პროფესიული მოვალეობები და ამოცანები:

№	პროფესიული მოვალეობა	პროფესიული ამოცანა
1.	პაციენტის გამოკვლევა	1.1. კრებს პაციენტის ცხოვრების და ჯანმრთელობის ანამნეზს. 1.2. ათვალიერებს პაციენტის გარეგნულ იერსახეს. 1.3. ათვალიერებს პირის ღრუს.

		<p>1.4. ადგენს პირის ღრუს ჰიგიენურ მდგომარეობას.</p> <p>1.5. ადგენს კბილების მაგარი ქსოვილების მდგომარეობას.</p> <p>1.6. ადგენს პირის ღრუს რბილი ქსოვილების მდგომარეობას.</p> <p>1.7. გამოავლენს პაროდონტოლოგიური ჯიბის არსებობას.</p> <p>1.8. იღებს პაციენტისგან ინფორმირებულ თანხმობას.</p>
2.	პირის ღრუს პროფესიული წმენდის ჩატარება	<p>2.1. აკეთებს პირის ღრუს იზოლაციას.</p> <p>2.2. არჩევს შესაბამისს აპარატს და მასალას.</p> <p>2.3. აცილებს კბილის რბილ, მაგარ, პიგმენტურ ნადებს.</p> <p>2.4. აპრიალებს კბილების ზედაპირებს.</p> <p>2.5. აკეთებს აპლიკაციურ, ინფილტრაციულ ანესთეზიას საჭიროების შემთხვევაში.</p> <p>2.6. ამუშავებს პაციენტის პირის ღრუს ანტიეპტიკური ხსნარებით პროცედურის დაწყებამდე და დასრულების შემდეგ.</p> <p>2.7. ავსებს პაციენტის სამედიცინო ბარათს.</p>
3.	კბილების ფისურების ჩაბეჭდვა	<p>3.1. ავლენს ფისურების ჩაბეჭდვის საჭიროებას.</p> <p>3.2. ახდენს პირის ღრუს იზოლაციას.</p> <p>3.3. აპრიალებს კბილის ზედაპირს არაფტორირებული კბილის პასტის საშუალებით.</p> <p>3.4. ახდენს კბილის ზედაპირის გრავირებას.</p> <p>3.5. ახდენს კბილზე სილანტის აპლიკაციას.</p> <p>3.6. ახდენს სილანტის პოლიმერიზაციას.</p> <p>3.7. განსაზღვრავს კბილის საოკლუზიო ზედაპირის სიმაღლეს საარტიკულაციო ქალაქით საჭიროების შემთხვევაში.</p> <p>3.8. აკორექტირებს კბილის საოკლუზიო ზედაპირს.</p> <p>3.9. ახდენს კბილის ზედაპირის გაპრიალებას.</p> <p>3.10. სამედიცინო დოკუმენტაციის წარმოება.</p>
4.	კბილის ზედაპირების პროფილაქტიკური ფტორირება	<p>4.1. ახდენს პირის ღრუს იზოლაციას.</p> <p>4.2. აპრიალებს კბილის ზედაპირს სპეციალური პასტით.</p> <p>4.3. ახდენს კბილის ზედაპირზე ფტორის აპლიკაციას.</p> <p>4.4. ახდენს მასალის პოლიმერიზაციას საჭიროების შემთხვევაში.</p>

		4.5 აძლევს პაციენტს ჩატარებული მანიპულაციის შესაბამის რეკომენდაციას.
5.	პაციენტის პირის ღრუს ჯანმრთელობაზე ზრუნვა	<p>5.1. აწვდის პაციენტს ინფორმაციას პირის ღრუს ჯანმრთელობის კრიტერიუმების შესახებ.</p> <p>5.2. აცნობს პაციენტს პირის ღრუს მოვლის საშუალებებს.</p> <p>5.3. აძლევს რეკომენდაციას პაციენტს პირის ღრუში არსებული ხელოვნური კონსტრუქციების მოვლის შესახებ.</p> <p>5.4. აწვდის ინფორმაციას საკვები პროდუქტების ზეგავლენის შესახებ პირის ღრუს ჯანმრთელობაზე.</p> <p>5.5. საზღვრავს მონიტორინგის ინდივიდუალურ გეგმას.</p> <p>5.6. აცნობს პაციენტს მავნე-ჩვევების ნეგატიური ზეგავლენის შესახებ პირის ღრუს ჯანმრთელობაზე.</p>
6.	საკუთარი კომპეტენციების ფარგლებში უსაფრთხო სამუშაო გარემოს უზრუნველყოფა	<p>6.1. უზრუნველყოფს პირველად სამედიცინო დახმარებას</p> <p>6.2. იცავს შრომითი უსაფრთხოების ნორმებს</p> <p>6.3. იცავს გარემოს დაცვით ნორმებს</p> <p>6.4. იცავს სამუშაო ადგილის სანიტარულ-ჰიგიენურ ნორმებს</p> <p>6.5. იცავს პროფესიულ ეთიკას და სამედიცინო დეონტოლოგიას</p>
7.	პროფესიული განვითარებისათვის ზრუნვა	<p>7.1 მონაწილეობს პროფესიულ ტრენინგებში, სემინარებში, კონფერენციებში</p> <p>7.2 ეცნობა პროფესიულ დარგში არსებულ პერიოდულ გამოცემებსა და ლიტერატურას</p> <p>7.3 ერთვება უწყვეტი პროფესიული განათლების პროგრამებში</p> <p>7.4 იზიარებს კოლეგების პროფესიულ გამოცდილებას</p> <p>7.5 ჩართულია პროფესიული ასოციაციების საქმიანობებში</p>

9. პიროვნული თვისებები:

- პუნქტუალური
- ორგანიზებული
- პასუხისმგებლობიანი

10. მატერიალური რესურსი:

ა) ინვენტარი, აღჭურვილობა:

- სტომატოლოგიური ანაწყოები (ზონდი, სარკე, პინცეტი, ექსკავატორი), ფითხი, ხელის კიურეტები, სტომატოლოგიური ბუნიკი, ულტრაბგერითი სკეილერის სამუშაო თავი, პაროდონტოლოგიური ზონდი, ფოტოპოლიმერიზატორი, მონოჯექტის საანესთეზიო ხელსაწყო.
- სტომატოლოგიური სავარძელი, ქვიშა-ჭავლოვანი აპარატი, ულტრაბგერითი აპარატი, ორალ კამერა, პერსონალური უსაფრთხოების საშუალებები (ქუდი, სათვალე, ნიღაბი, ფარი, გულსაფარი), სასწავლო მულაჟები.
- **მასალა, ნედლეული:** სააპლიკაციო ანესთეტიკი, ადგილობრივი საინექციო საანესთეზიო საშუალება, ფტორლაქები, რემინერალიზაციური გელები და ხსნარები, პირის ღრუს ანტისეპტიკური საველები, კბილის ძაფი, კბილის ზედაპირის საპრიალებელი ჯაგრისი, ღრუბელი და რეზინის თავები, ინტრადენტალური ჯაგრულები, აპლიკატორები, ფუნჯები, ნადების მარკერი, სასპირაციო სისტემა, ლილვაკები, საიზოლაციო სისტემები, ორთოფოსფორმჟავა, სილანტი.

11.სამომავლო ტენდენციები:

- პირის ღრუს ჰიგიენისტიკის ახალი სტანდარტების, ტექნოლოგიების, მეთოდოლოგიების დანერგვა.

12. პროფესიული ცოდნა და უნარები:

№	მოვალეობა	პროფესიული ცოდნა	პროფესიული უნარები
1.	პაციენტის გამოკვლევა	<p>იცის:</p> <ul style="list-style-type: none"> • ანამნეზის შეკრების წესები. • ზოგად-სომატური დაავადებები. • პროფესიული დაავადებები. • პროფ. დაავადებების კლინიკური გამოვლინებების თავისებურებები პირის ღრუში. • სამედიცინო ბარათში პაციენტის ცხოვრებისა და ჯანმრთელობის შესახებ შესაბამისი ველის შევსების წესები. • ადამიანის თავისა და კისრის დათვალიერების წესები. • ადამიანის თავისა და კისრის ნორმალური ანატომია. • ადამიანის თავისა და კისრის პათოლოგიები. • სამედიცინო ბარათში პაციენტის გარეგნული იერსახის აღწერის შესაბამისი ველის შევსების წესები. • პირის ღრუს ანატომია. • პირის ღრუს პათოლოგიები. • პირის ღრუს დათვალიერების 	<p>შეუძლია:</p> <ul style="list-style-type: none"> • პაციენტის გამოკითხვა ანამნეზის შეკრების მიზნით. • პირის ღრუში პროფესიული დაავადებების და მავნე ჩვევების გამოვლენის დადგენა. • ზოგად-სომატური დაავადებების დიფ. დიაგნოსტიკის გატარება. • სამედიცინო ბარათის შევსება. • პაციენტის გარეგნული იერსახის დათვალიერება. • შეუძლია გამოავლინოს გარეგნული იერსახის ნორმიდან გადახრა. • შეუძლია სამედიცინო ბარათში ობიექტური გამოკვლევის შედეგებისთვის გამოყოფილი ველის შევსება. • პირის ღრუს დათვალიერება. • პირის ღრუში არსებული პათოლოგიური ცვლილებების გამოვლენა. • პირის ღრუს დათვალიერებისთვის

წესები.

- პირის ღრუს დათვალიერებისთვის საჭირო სტომატოლოგიური ინსტრუმენტები.
- პირის ღრუს დათვალიერებისთვის საჭირო სტომატოლოგიური ინსტრუმენტების გამოყენების წესებს.
- ნერწყვი, შემაღვენლობა, თვისება, ფუნქციები.
- სამედიცინო ბარათში პირის ღრუს დათვალიერების შესაბამისი ველის შევსების წესები.
- პირის ღრუს საერთაშორისო ჰიგიენური ინდექსები.
- კბილის ზედაპირზე ნადების გამოსავლენი საშუალებები.
- კბილის ზედაპირზე ნადების გამოსავლენი საშუალებების გამოყენების მექანიზმი.
- კბილის მაგარი ქსოვილების ანატომია.
- კბილის მაგარი ქსოვილების პათოლოგიური ცვლილებები.
- კბილის მაგარი ქსოვილების დათვალიერებისათვის საჭირო სტომატოლოგიურ ინსტრუმენტებს.
- კბილის მაგარი ქსოვილების დათვალიერებისათვის საჭირო სტომატოლოგიური ინსტრუმენტების გამოყენების წესებს.
- ICD 10 საერთაშორისო დაავადებათა ნოზოლოგიური კოდები.
- სამედიცინო ბარათში კბილების მაგარი ქსოვილების მდგომარეობის აღწერის შესაბამისი ველის შევსების წესები.
- პირის ღრუს რბილი ქსოვილების ანატომია.
- პირის ღრუს რბილი ქსოვილების დაზიანებების მორფოლოგიურ ელემენტებს.
- პირის ღრუს რბილი ქსოვილების პათოლოგიებს.
- სამედიცინო ბარათში პირის ღრუს

საჭირო ინსტრუმენტების გარჩევა.

- პირის ღრუს დათვალიერებისათვის საჭირო სტომატოლოგიური ინსტრუმენტების გამოყენება.
- შეუძლია სამედიცინო ბარათში ობიექტური გამოკვლევის შედეგებისთვის გამოყოფილი ველში პირის ღრუს მდგომარეობის დაფიქსირება.
- საერთაშორისო ინდექსებით ჰიგიენური მდგომარეობის დადგენა.
- ნადების გამოსავლენი საშუალებების შერჩევა.
- ნადების გამოსავლენი საშუალებების გამოყენება.
- კბილის მაგარი ქსოვილების პათოლოგიების გამოსავლენად საჭირო სადიაგნოსტიკო ინსტრუმენტების შერჩევა.
- კბილის მაგარი ქსოვილების პათოლოგიების გამოსავლენად საჭირო სადიაგნოსტიკო მასალების გამოყენება.
- კბილის მაგარი ქსოვილების პათოლოგიების გამოსავლენად საჭირო სადიაგნოსტიკო ინსტრუმენტების გამოყენება.
- კბილის მაგარი ქსოვილების პათოლოგიების დიაგნოსტიკა.
- კბილის მაგარი ქსოვილების დაზიანებების იდენტიფიკაცია ICD 10 კოდების თანახმად.
- სამედიცინო ბარათში კბილების მაგარი ქსოვილების მდგომარეობის აღწერის შესაბამისი ველის შევსება.
- პირის ღრუს დათვალიერება.
- პირის ღრუს ლორწოვანი გარსის დაზიანებების მორფოლოგიური ელემენტების გამოვლენა.
- პირის ღრუს რბილი ქსოვილების პათოლოგიების გამოვლენა.
- სამედიცინო ბარათში პირის ღრუს რბილი ქსოვილების მდგომარეობის აღწერის შესაბამისი ველის შევსება.

		<p>რბილი ქსოვილების მდგომარეობის აღწერის შესაბამისი ველის შევსების წესები.</p> <ul style="list-style-type: none"> • პაროდონტის ქსოვილების ანატომია. • პაროდონტის ქსოვილების პათოლოგია. • საჭირო ინსტრუმენტების შერჩევა. • საჭირო ინსტრუმენტების გამოყენების წესები. • სამედიცინო ბარათში პაროდონტოლოგიური ჯიბის არსებობის შესახებ ინფორმაციის დაფიქსირების წესები. • სტომატოლოგიური პაციენტის სამედიცინო ბარათის ფორმა. • პაციენტის ინფორმირებულ თანხმობასთან დაკავშირებით სამედიცინო დოკუმენტაციის წარმოების წესები. • სამედიცინო ბარათის შევსებასთან დაკავშირებული შესაბამისი საკანონმდებლო მოთხოვნები. 	<ul style="list-style-type: none"> • შეუძლია საჭირო ინსტრუმენტების შერჩევა. • შეუძლია საჭირო ინსტრუმენტების გამოყენება. • პაროდონტის ქსოვილების პათოლოგიის გამოვლენა. • სამედიცინო ბარათში პაროდონტოლოგიური ჯიბის არსებობის შესახებ ინფორმაციის დაფიქსირება. • სამედიცინო დოკუმენტაციის წარმოება. • ინფორმაციის მიწოდება ჩასატარებელი მანიპულაციის მიზნის, მიმდინარეობის, თავისებურების, შესაძლო გართულებების შესახებ. • მომსახურებაზე უარის თქმის შემთხვევაში დამდგარი შედეგის შესახებ ინფორმაციის გაცნობა.
2.	<p>პირის ღრუს პროფესიული წმენდის ჩატარება</p>	<p>იცის:</p> <ul style="list-style-type: none"> • პირის ღრუსა და კბილების საიზოლაციო სისტემების სახეობები. • საიზოლაციო სისტემების გამოყენების წესები. • პირის ღრუს პროფესიული წმენდის აპარატების გამოყენების ჩვენებები და უკუჩვენებები. • პირის ღრუს პროფესიული წმენდისთვის განკუთვნილი აპარატურის დანიშნულება. • პირის ღრუს პროფესიული წმენდისთვის განკუთვნილი აპარატურის მოქმედების მექანიზმი. • პირის ღრუს პროფესიული წმენდისთვის განკუთვნილი აპარატურის გამოყენების უსაფრთხოების წესებს. • კბილის რბილი, მაგარი, პიგმენტური ნადების შემადგენლობა. 	<p>შეუძლია:</p> <ul style="list-style-type: none"> • საიზოლაციო სისტემის შერჩევა. • საიზოლაციო სისტემის გამოყენება. • პირის ღრუს პროფესიული წმენდისთვის განკუთვნილი აპარატისა და მასალის შერჩევა. • უსაფრთხოების ნორმების დაცვა. • კბილის რბილი, მაგარი, პიგმენტური ნადების გარჩევა. • კბილის ნადების მოსაცილებლად საჭირო ინსტრუმენტების შერჩევა. • კბილის ნადების მოსაცილებლად საჭირო ინსტრუმენტების გამოყენება. • კბილის ზედაპირის გაპრიალებისთვის საჭირო მასალების შერჩევა. • საჭირო მასალების გამოყენება. • შეუძლია მანიპულაციის ჩატარება. • მანიპულაციისთვის საჭირო შესაბამისი ანატომიური ორიენტირების იდენტიფიცირება.

- კბილის ნადების გავლენა ორგანიზმის ადგილობრივ და ზოგად ჯანმრთელობაზე.
- კბილის ნადების შეფასების კრიტერიუმები.
- კბილის ნადების მოსაცილებელი ინსტრუმენტების მოქმედების მექანიზმი.
- კბილის მაგარი ნადების მოსაცილებლად შერჩეული ინსტრუმენტების გამოყენების წესები.
- კბილის ზედაპირის გაპრიალებისთვის საჭირო მასალები.
- კბილის ზედაპირის გაპრიალებისთვის საჭირო ინსტრუმენტები.
- კბილის გაპრიალების ძირითადი წესები.
- პირის ღრუს ანატომია.
- აპლიკაციური და ინექციური საანესთეზიო საშუალებები.
- საანესთეზიო საშუალებების მოქმედების მექანიზმი.
- საანესთეზიო საშუალებების გამოყენების ჩვენებები, უკუჩვენებები.
- აპლიკაციური ანესთეზიის გაკეთების ტექნიკა.
- ინფილტრაციული ანესთეზიის გაკეთების ტექნიკა.
- საანესთეზიო საშუალებების შესაძლო გართულებები.
- ადგილობრივი ანესთეზიის გართულების შემთხვევაში პირველადი დახმარების გაწევის წესები.
- პირის ღრუს ანტისეპტიკური ხსნარების სახეობები.
- პირის ღრუს ანტისეპტიკური ხსნარების გამოყენების ჩვენებები, უკუჩვენებები.
- სტომატოლოგიური პაციენტის სამედიცინო ბარათის ფორმა.
- საქმიანობის შესაბამისი დოკუმენტაციის ფორმა.

- საანესთეზიო საშუალებების შერჩევა.
- აპლიკაციური, ინფილტრაციული ანესთეზიის გაკეთება.
- ანესთეზიასთან დაკავშირებული გართულებების იდენტიფიცირება.
- გართულების შემთხვევაში პირველადი სამედიცინო დახმარების გაწევა.
- ანტისეპტიკური ხსნარების შერჩევა.
- ანტისეპტიკური ხსნარების სწორი გამოყენება.
- საქმიანობის შესაბამისი დოკუმენტაციის ფორმის შერჩევა.
- ქვეყნაში არსებული კანონმდებლობის გათვალისწინებით სამედიცინო დოკუმენტაციის წარმოება.

		<ul style="list-style-type: none"> • შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოების წესი. • ქვეყანაში არსებული კანონმდებლობა სამედიცინო დოკუმენტაციის წარმოებასთან დაკავშირებით. 	
3.	კბილების ფისურების ჩაბეჭდვა	იცის: <ul style="list-style-type: none"> • კბილის ანატომიური თავისებურებანი. • იცის კბილების ამოჭრის ვადები. • იცის კბილის მინერალიზაციის ვადები. • საიზოლაციო სისტემები • საიზოლაციო სისტემების გამოყენების წესები • საიზოლაციო სისტემების ჩვენებები, უკუჩვენებები • კბილის ზედაპირების საპრიალებელი მასალების სახეობები. • კბილის ზედაპირების საპრიალებელი მასალის გამოყენების წესები. • კბილის ზედაპირის გრავირების მექანიზმი და მნიშვნელობა. • კბილის გრავირებისთვის საჭირო მასალის შერჩევა • კბილის გრავირებისთვის საჭირო მასალის ინსტრუქციით გათვალისწინებული წესები • კბილის ჩაბეჭდვისთვის საჭირო მასალებს. • კბილის ჩაბეჭდვისთვის საჭირო მასალების გამოყენების წესები. • ფოტოპოლიმერიზატორის სახეობები. • ფოტოპოლიმერიზატორის მოქმედების მექანიზმი. • ფოტოპოლიმერიზაციის გამოყენების წესები. • საარტიკულაციო ქაღალდის სახეობები. • საარტიკულაციო ქაღალდის გამოყენების წესები. • კბილის ზედაპირზე არსებული 	შეუძლია: <ul style="list-style-type: none"> • ჩაბეჭდვისათვის რეკომენდებული ვადების იდენტიფიცირება. • ფისურების ფორმის სწორი შეფასება. • საიზოლაციო სისტემის შერჩევა. • საიზოლაციო სისტემის გამოყენება. • კბილის ზედაპირების საპრიალებელი მასალების შერჩევა. • კბილის ზედაპირის საპრიალებელი მასალების გამოყენება. • კბილის გრავირებისთვის საჭირო მასალის შერჩევა. • კბილის გრავირებისთვის საჭირო მასალის გამოყენება. • კბილის ჩაბეჭდვისათვის საჭირო მასალის შერჩევა. • კბილის ჩაბეჭდი მასალის გამოყენება ინსტრუქციის შესაბამისად. • სილანტის ინსტრუქციით გათვალისწინებული ფოტოპოლიმერიზაციის რეჟიმის შერჩევა. • ფოტოპოლიმერიზატორის გამოყენება. • სილანტის პოლიმერიზაცია. • საარტიკულაციო ქაღალდის სწორი შერჩევა. • საარტიკულაციო ქაღალდის გამოყენება. • კბილის საოკლუზიო ზედაპირის სიმაღლის დადგენა. • სუპრაკონტაქტების იდენტიფიცირება. • სუპრაკონტაქტების აღმოფხვრა

		<p>საოკლუზიო წერტილების ტოპოგრაფია.</p> <ul style="list-style-type: none"> • კბილის საოკლუზიო ზედაპირის საკორექციო საშუალებები. • კბილის საოკლუზიო ზედაპირის საკორექციო საშუალებების გამოყენების წესები. • კბილის ზედაპირის გაპრიალებისთვის საჭირო მასალები. • კბილის ზედაპირის გაპრიალებისთვის საჭირო ინსტრუმენტები. • კბილის გაპრიალების ძირითადი წესები. • სტომატოლოგიური პაციენტის სამედიცინო ბარათის ფორმა. • საქმიანობის შესაბამისი დოკუმენტაციის ფორმა. • შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოების წესი. • ქვეყანაში არსებული კანონმდებლობა სამედიცინო დოკუმენტაციის წარმოებასთან დაკავშირებით. 	<ul style="list-style-type: none"> • სუპრაკონტაქტების აღმოსაფხვრელი ინსტრუმენტების შერჩევა, გამოყენება. • კბილის გაპრიალებისთვის საჭირო მასალების შერჩევა. • საჭირო მასალების გამოყენება. • კბილის გაპრიალების მანიპულაციის ჩატარება. • საქმიანობის შესაბამისი დოკუმენტაციის ფორმის შერჩევა. • ქვეყანაში არსებული კანონმდებლობის გათვალისწინებით სამედიცინო დოკუმენტაციის წარმოება.
4.	<p>კბილის ზედაპირების პროფილაქტიკური ფტორირება</p>	<p>იცის:</p> <ul style="list-style-type: none"> • საიზოლაციო სისტემები • საიზოლაციო სისტემების გამოყენების წესები • საიზოლაციო სისტემების ჩვენებები, უკუჩვენებები • კბილის ზედაპირების საპრიალებელი მასალების სახეობები • კბილის ზედაპირების საპრიალებელი მასალის გამოყენების წესები • კბილის ფტორირების მასალები • მასალის გამოყენების წესები • კბილის ფტორირებისთვის საჭირო მასალის გამოყენების ჩვენებები, უკუჩვენებები • ფოტოპოლიმერიზატორის სახეობები • ფოტოპოლიმერიზატორის 	<p>შეუძლია:</p> <ul style="list-style-type: none"> • კბილის ფტორირებისთვის საჭირო მასალის შერჩევა • კბილის ფტორირებისთვის საჭირო მასალის გამოყენება • კბილის ზედაპირზე ფტორის აპლიკაცია • სილანტის ინსტრუქციით გათვალისწინებული ფოტოპოლიმერიზაციის რეჟიმის შერჩევა • ფოტოპოლიმერიზატორის გამოყენება • წერილობითი კომუნიკაცია უცხო ენაზე დარგთან დაკავშირებულ საკითხებზე • შერჩეული მასალის ინსტრუქციის შესაბამისი რეკომენდაციის მიცემა. • საქმიანობის შესაბამისი დოკუმენტაციის ფორმის შერჩევა • ქვეყანაში არსებული

		<p>მოქმედების მექანიზმი</p> <ul style="list-style-type: none"> • ფოტოპოლიმერიზაციის გამოყენების წესები • შესაბამისი მასალების ინსტრუქციები • საქმიანობის შესაბამისი დოკუმენტაციის ფორმა. • შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოების წესი • ქვეყანაში არსებული კანონმდებლობა სამედიცინო დოკუმენტაციის წარმოებასთან დაკავშირებით 	<p>კანონმდებლობის გათვალისწინებით სამედიცინო დოკუმენტაციის წარმოება</p>
5.	<p>პაციენტის პირის ღრუს ჯანმრთელობაზე ზრუნვა</p>	<p>იგის:</p> <ul style="list-style-type: none"> • კომუნიკაციის მეთოდები და ხერხები • პირის ღრუს ჯანმრთელობის კრიტერიუმები • პირის ღრუს მოვლის საშუალებები. • პირის ღრუს მოვლის საშუალებების გამოყენების წესები • პირის ღრუს მოვლის საშუალებების ჩვენებები, უკუჩვენებები • პირის ღრუს მოვლის საშუალებების გამოყენების ტექნიკა • კომუნიკაციის მეთოდები და ხერხები • ხელოვნური კონსტრუქციების მოვლის საშუალებები • ხელოვნური კონსტრუქციების მოვლის საშუალებების გამოყენების წესები • საკვები პროდუქტების თვისებები. • საკვები პროდუქტების შემადგენლობა • საკვები პროდუქტების გავლენა პირის ღრუს ჯანმრთელობაზე • საკვები პროდუქტების მიღების თანმიმდევრობის უპირატესობები • მონიტორინგის ზოგადი პრინციპები • შესაბამისი კომპიუტერული პროგრამები • სხვადასხვა მანერე ჩვევების 	<p>შეუძლია:</p> <ul style="list-style-type: none"> • პაციენტთან კომუნიკაციის დამყარება • პაციენტისთვის პირის ღრუს ჯანმრთელობის კრიტერიუმების ახსნა, განმარტება • პირის ღრუს საშუალებების ინდივიდუალური შერჩევა • პირის ღრუს რბილი და მაგარი ქსოვილების წმენდის დემონსტრირება • პაციენტისთვის პირის ღრუს მოვლის საშუალებების გამოყენების ტექნიკის დემონსტრირება • პაციენტთან კომუნიკაციის დამყარება • ხელოვნური კონსტრუქციების სპეციფიკური მოვლის ტექნიკის დემონსტრირება • ხელოვნური კონსტრუქციების სპეციფიკური მოვლის საშუალებების გამოყენების შესახებ დანიშნულების მიცემა • საკვები პროდუქტების მანერე და სასარგებლო თვისებების შესახებ პაციენტის ინფორმირება • წერილობითი, ზეპირი კომუნიკაცია უცხო ენაზე დარგთან დაკავშირებულ საკითხებზე • მონიტორინგის ინდივიდუალური ვადების განსაზღვრა • შესაბამისი კომპიუტერული პროგრამებით სარგებლობა

		<p>ზემოქმედების სპეციფიკა პირის ღრუს ჯანმრთელობაზე</p> <ul style="list-style-type: none"> • მავნე ჩვევებით გამოწვეული პირის ღრუს პათოლოგიები • კომუნიკაციის მეთოდები და ხერხები 	<ul style="list-style-type: none"> • პაციენტის ინფორმირება მავნე ჩვევების შეგავლენის შესახებ პირის ღრუს ჯანმრთელობაზე • პაციენტთან კომუნიკაციის დამყარება
6.	<p>საკუთარი კომპეტენციების ფარგლებში უსაფრთხო სამუშაო გარემოს უზრუნველყოფა</p>	<p>იცის:</p> <ul style="list-style-type: none"> • ზოგად სომატური გართულებები, მისი სიმპტომები, გამოვლინებები • სტომატოლოგიურ მანიპულაციასთან დაკავშირებული ადგილობრივი და ზოგადი გართულებები • პირველადი სამედიცინო დახმარების პროტოკოლი. • სამედიცინო საქმიანობით განპირობებულ ინფექციის გავრცელების რისკებს • პერსონალური უსაფრთხოების საშუალებები • პერსონალური დაცვის საშუალებების გამოყენება • დეკონტამინაციის პრინციპები • სამედიცინო, საყოფაცხოვრებო და ფარმაცოლოგიური ნარჩენების უტილიზაციის წესები • სამედიცინო, საყოფაცხოვრებო, ფარმაცოლოგიური ნარჩენების გაუვნებელყოფის კანონით დადგენილი წესები • სამედიცინო საქმიანობით განპირობებულ ინფექციის გავრცელების რისკები • სამუშაო გარემოს დეკონტამინაციის წესები • სამედიცინო ინსტრუმენტების დეკონტამინაციის წესები • კომუნიკაციის ვერბალური და არავერბალური მეთოდები • ქვეყანაში არსებული ექიმის ეთიკის კოდექსი • სამედიცინო ეთიკისა და საქმიანობის მარეგულირებელი მოქმედი კანონები • სამედიცინო ეთიკის საერთაშორისო კოდექსი 	<p>შეუძლია:</p> <ul style="list-style-type: none"> • ზოგად სომატური გართულებების იდენტიფიცირება • სტომატოლოგიურ მანიპულაციასთან დაკავშირებული ადგილობრივი და ზოგადი გართულებების იდენტიფიკაცია • პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენა • პერსონალური დაცვის საშუალებების გამოყენება • დეკონტამინაციის პრინციპების დაცვა • სამედიცინო, საყოფაცხოვრებო, ფარმაცოლოგიური ნარჩენების იდენტიფიცირება • სამედიცინო, საყოფაცხოვრებო, ფარმაცოლოგიური ნარჩენების სეგრეგაცია • პრევენციული ღონისძიებების გატარებით ინფექციის გავრცელების აღკვეთა • სამუშაო გარემოს დეკონტამინაცია. • სამედიცინო ინსტრუმენტების დეკონტამინაცია • პროფესიული ეთიკისა და დეონტოლოგიის დაცვით სამედიცინო საქმიანობის გახორციელება • მუშაობის პროცესში პაციენტის მენტალური, კოგნიტური, ეთნიკური, რელიგიური, სოციალური, ასაკობრივი და დაავადების თავისებურებების გათვალისწინება • ინფორმაციის კონფიდენციალურობის დაცვა • პრაქტიკული საქმიანობისას საერთაშორისო ორგანიზაციების

		<ul style="list-style-type: none"> • საერთაშორისო ორგანიზაციების რეკომენდაციები • პაციენტის პერსონალური ინფორმაციის კონფიდენციალობის მნიშვნელობა • საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში ექიმი-სტომატოლოგის მიერ გაცემული ბრძანებებისა და მითითებების კვალიფიციურად შესრულების წესები 	<p>რეკომენდაციებით ხელმძღვანელობა</p> <ul style="list-style-type: none"> • საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში ექიმი-სტომატოლოგის მიერ გაცემული ბრძანებებისა და მითითებების კვალიფიციურად შესრულება
7.	<p>პროფესიული განვითარებისათვის ზრუნვა</p>	<p>იცის:</p> <ul style="list-style-type: none"> • პროფესიული ღონისძიებების მნიშვნელობა • პროფესიულ დარგში არსებული ღონისძიებების შესახებ ინფორმაციის მოპოვების გზები • პროფესიული განვითარების აუცილებლობა და მნიშვნელობა 	<p>შეუძლია:</p> <ul style="list-style-type: none"> • საკუთარი ცოდნის შეფასება და რეალიზება • პროფესიულ დარგში არსებული სიახლეების გაანალიზება • პროფესიულ დარგში არსებული სიახლეების პრაქტიკაში იმპლემენტაცია

		<ul style="list-style-type: none"> • პროფესიულ დარგში არსებული სიახლეების მოპოვების გზები • უწყვეტი პროფესიული განათლების პროგრამები • ქვეყანაში არსებული პროფესიული გადამზადების მოდულები • კოლეგებთან ურთიერთობის ეთიკის ნორმები • კოლეგებთან ურთიერთობის პროფესიული გზები • პროფესიულ ორგანიზაციებში გაწევრიანების გზები • პროფესიულ ასოციაციებში არსებული სიახლეების მოპოვების გზები 	<ul style="list-style-type: none"> • ტრენინგებში, სემინარებსა და კონფერენციებში მონაწილეობა • საკუთარი ცოდნის შეფასება და რეალიზება • პროფესიულ დარგში არსებული უახლესი გამოცემების მოძიება • პროფესიული დარგში არსებული სიახლეების პრაქტიკაში გამოყენება • საკუთარი ცოდნის შეფასება და რეალიზება • პროფესიული რეალიზაციის გზების გამონახვა შრომით ბაზარზე • უწყვეტი პროფესიული განათლების პროგრამებში ჩართვა • საერთაშორისო პროფესიულ პროგრამებში მონაწილეობა • ქვეყანაში არსებული გადამზადების სასწავლო მოდულებში მონაწილეობა • საკუთარი ცოდნის შეფასება და რეალიზება • უცხო ენაზე წერილობითი, ზეპირი კომუნიკაცია უცხო ენაზე დარგთან დაკავშირებულ საკითხებზე • საკუთარი ცოდნის შეფასება და ანალიზი • პროფესიულ ორგანიზაციებში გაწევრიანება
--	--	---	---

13. სტანდარტის მოქმედების ვადა: 5 წელი

14. პროფესიული სტანდარტის შემმუშავებელი სამუშაო ჯგუფის წევრები:

№	სახელი, გვარი	ორგანიზაცია, პოზიცია
1	თეა ჩუბინიძე	სტომატოლოგიური კლინიკა „უნისტომი“, კლინიკური ხელმძღვანელი, თერაპევტი სტომატოლოგი.
2	სალომე რამიშვილი	სტომატოლოგიური კლინიკა „ლაზერ დენტი“, თერაპევტი სტომატოლოგი.

3	სალომე ხეცურიანი	სტომატოლოგიური კლინიკა „სანო“, კლინიკური ხელმძღვანელი, თერაპევტი სტომატოლოგი, პირის ღრუს ქირურგი.
4	თამუნა ყურაშვილი	სტომატოლოგიური კლინიკა „დანბლანში“, კლინიკური ხელმძღვანელი, თერაპევტი სტომატოლოგი.
5	ნინო მუკბანიანი	სტომატოლოგიური, თერაპევტი სტომატოლოგი.
6	ზურაბ ალხანიშვილი	საქართველოს სტომატოლოგთა ასოციაცია, ვიცე-პრეზიდენტი.
7	ეკა ჭოლაძე	სტომატოლოგიური კლინიკა „დენტექსი“, დირექტორის მოადგილე
8	ირმა ჯღარკავა	სტომატოლოგიური კლინიკა „დენტო კლუბი“, თერაპევტი სტომატოლოგი.
9	გვანცა ტაბაღუა	სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი, დარგის ფასილიტატორი
10	ხათუნა თოდაძე	სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი, განათლების ფასილიტატორი

დასახელება: პირის დრუს ჰიგიენისტი

შეფასების სტანდარტი

ნაწილი 1. ზოგადი ინფორმაცია

შეფასების სტანდარტი გამოიყენება ფორმალური განათლების ან/და არაფორმალური განათლების ფარგლებში შეძენილი კომპეტენციების, ცოდნისა და უნარების აღიარების მიზნით.

შეფასების სტანდარტი განსაზღვრავს პროფესიულ სტანდარტში ასახული კომპეტენციების, ცოდნისა და უნარების შეფასების ან/და დადასტურების აუცილებელ პირობებს:

1. შესაფასებელ კომპეტენციებს, რომლებიც გამოხატულია პროფესიული მოვალეობებსა და ამოცანებში;
2. შესაფასებელი კომპეტენციების შეფასების კრიტერიუმებს, რომლებიც ასახავს აუცილებელ პროფესიულ ცოდნასა და უნარებს;
3. შესაფასებელი კომპეტენციების დადასტურების შესაძლებლობებს;
4. გამოცდის პროცესს და კომპონენტებს.

შესაფასებელი კომპეტენციების დადასტურება

შესაფასებელი კომპეტენციების დადასტურების გზები:

- ა) ფორმალური განათლების გზით მიღწეული სწავლის შედეგების აღიარება (ჩათვლა);
- ბ) არაფორმალური განათლების გზით მიღწეული კომპეტენციების დადასტურება (ნამდვილობის დადასტურება) განათლების და მეცნიერების მინისტრის მიერ დადგენილი წესით;
- გ) მიღწეული კომპეტენციების დადასტურება ამ დოკუმენტით დადგენილი პრინციპებით ჩატარებული გამოცდის გზით.

ფორმალურ განათლებაში სტანდარტით გათვალისწინებული შეფასების პროცესის წარმართვასთან დაკავშირებული მოთხოვნები ასახულია სავალდებულო პროფესიულ მოდულებში.

ფორმალურ განათლებაში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარების (ჩათვლის) პროცესი

ფორმალური განათლების გზით მიღწეული სწავლის შედეგების აღიარების (ჩათვლის) პროცესი მოიცავს მიღწეული სწავლის შედეგების აღიარებას (ჩათვლას) სამიხედო კვალიფიკაციის მიზნებისათვის ქვემოთ მოცემული პრინციპების შესაბამისად:

- ა) დასაშვებია მიღწეული სწავლის შედეგების აღიარება (ჩათვლა) ნებისმიერი კვალიფიკაციის ფარგლებში, თუ სწავლის შედეგები თავსებადია სამიხედო კვალიფიკაციასთან და მათი მიღწევა დადასტურებულია, რაც გამოიხატება საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მიღებული დადებითი შეფასებით და შესაბამისი კრედიტის მინიჭებით.
- ბ) თავსებადობის დადგენისთვის, შინაარსობრივი შესწავლის მიზნით, ამღიარებელი დაწესებულება ეყრდნობა პროფესიულ სტანდარტს ან/და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტს, რომლის საფუძველზეც არის შემუშავებული გავლილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ან პროგრამის კომპონენტი, არსებობის შემთხვევაში - პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას ან/და სილაბუსებს, ან/და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგს.

ამდიარებელი დაწესებულება უფლებამოსილია აღიარების მიზნებისათვის შესაფასებელ პირს მოსთხოვოს გავლილი საგანმანათლებლო პროგრამის/სასწავლო კურსების პროგრამების (სილაბუსების) გამოთხოვა საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან და წარდგენა.

გ) სწავლის შედეგების თავსებადობის განსაზღვრის მიზნით, აუცილებელი არაა მათი ფორმულირება იყოს იდენტური. თავსებადად ჩაითვლება სწავლის შედეგები, რომლის/რომელთა ერთობლიობაც, შინაარსის თვალსაზრისით, ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს შესაბამისი საფეხურის აღმწერის გათვალისწინებით, შესაძლოა მიჩნეულ იქნას ანალოგიურად.

ნაწილი 2. მითითებები შესაფასებელი პირის ადა შემფასებლისათვის

შეფასების დაწყებამდე გაეცანით:

- პროფესიულ სტანდარტს;
- შეფასების ინსტრუმენტებს;
- დაინტერესებული/შესაფასებელი პირის კომპეტენციების აღიარებასთან დაკავშირებულ შესაძლებლობებს;
- შემფასებლის ჩანაწერების ფორმებს;
- შეფასების პირობებს;
- შეფასების წესებს;
- შეფასების კრიტერიუმებს.

შეფასების პროცესში:

- პირადად დააკვირდით დავალებების შესრულების/შეფასების პროცესს;
- თითოეული შესაფასებლისათვის აწარმოეთ შეფასების ჩანაწერების ფორმები;
- თუ აუცილებელია, შესაფასებელს დაუსვით დამატებითი შეკითხვები დავალებასთან დაკავშირებით;
- შეაფასეთ თითოეული კრიტერიუმი.

შეფასების დასრულებისას:

- შესაფასებელს მიეცით განმარტება შეფასებასთან დაკავშირებით;
- შეაჯამეთ შეფასების შედეგები;
- დაადასტურეთ შეფასების შედეგები ხელმოწერით;
- შეფასების ჩანაწერები გადაეცით სათანადოდ უფლებამოსილ პირს.

ნაწილი 3. შეფასების პროცედურა

მიღწეული კომპეტენციების დადასტურებისთვის გამოცდის ორგანიზების პროცესი და კომპონენტები

მიღწეული კომპეტენციების დადასტურებისთვის გამოცდის ჩატარების პროცესი მოიცავს დასადასტურებელი კომპეტენციების შესაბამისად გამოკითხვისა და პრაქტიკული დავალების შესრულების ეტაპებს.

მიუხედავად იმისა, დასტურდება თუ არა კვალიფიკაციით გათვალისწინებული კომპეტენციები, შეფასების სტანდარტის ნაწილი 1-ის „შესაფასებელი კომპეტენციების დადასტურება“ „ა“ და „ბ“ პუნქტებით გათვალისწინებული შესაძლებლობებით, შეფასების პროცესი მოიცავს სავალდებულო კომპონენტს (გამოცდას), რომლის შეფასება შესაბამისი კვალიფიკაციის მინიჭების წინაპირობაა.

ქვემოთ მოცემულია გამოკითხვისა და პრაქტიკულ დავალებაზე დაკვირვების პროცესის მოთხოვნები, ასევე - შეფასების სავალდებულო კომპონენტები.

ნაწილი 4. თეორიული გამოკითხვის და პრაქტიკული /დავალებების თემატიკა

გამოკითხვა

გამოკითხვის ფორმა:

- შესაფასებელი პირის გამოკითხვა ხორციელდება ტესტის და ზეპირი შეკითხვების სახით;
- ტესტი უნდა მოიცავდეს როგორც ღია, ისე დახურული ტიპის შეკითხვებს.

გამოკითხვის პროცესის მონიტორინგი:

არსებითია გამოკითხვის პროცესზე შემფასებლის მიერ ზედამხედველობის განხორციელება.

მოპოვებული მტკიცებულებები

მტკიცებულებები უზრუნველყოფილია შესაფასებლის მიერ მომზადებული წერილობითი ნაშრომით/შესრულებული ტესტით ან/და პრაქტიკული დავალების დროს დამატებით, დამაზუსტებელ შეკითხვებზე პასუხებით.

თეორიული საგამოცდო თემატიკა:

- დასადასტურებელი კომპეტენციების შესაბამისად საგამოცდო თემატიკა შეიძლება მოიცავდეს შემდეგ საკითხებს:

1. პირის ღრუს ანატომია;
2. სამედიცინო ეთიკისა და საქმიანობის მარეგულირებელი მოქმედი კანონები;
3. პირის ღრუს მოვლის საშუალებების გამოყენების წესები და უკუჩვენებები;
4. სტომატოლოგიური აპარატურის მოწყობისა და გამოყენების წესები;
5. სპეციალური საჭიროების პაციენტთან მუშაობის თავისებურებები;
6. ინფექციის კონტროლი.

სავალდებულო კომპონენტის (გამოცდის) საკითხების შერჩევა ზემოთ მოცემული საკითხებიდან შემფასებლის პრეროგატივაა.

ნაწილი 5. პრაქტიკული დავალების/დავალებები შესრულების/შეფასების კრიტერიუმების მითითებით:

პრაქტიკული დავალების შესრულებაზე დაკვირვება.

საგამოცდო გარემო:

შესაფასებელი პირის შეფასება ხორციელდება პრაქტიკული დავალებების სახით.

საგამოცდო პროცესის მონიტორინგი:

საგამოცდო პროცესის მონიტორინგს ახორციელებს შემფასებელი/შემფასებლები (ნეიტრალური კომისია) წინასწარი დადგენილი წესისა და პროცედურების დაცვით.

მოპოვებული მტკიცებულებები:

მტკიცებულებები უზრუნველყოფილია შემფასებლის მიერ შევსებული ჩანაწერების ფორმით.

საგამოცდო პრაქტიკული დავალებების ჩამონათვალი:

დასადასტურებელი კომპეტენციების შესაბამისად სტუდენტმა უნდა შეასრულოს დავალება, რომელიც შეიძლება მოიცავდეს შემდეგს:

- ა) პირის ღრუს წმენდა და კბილების ფისურების ჩაბეჭდვა;
- ბ) პაციენტის გამოკვლევა და საჭიროების დადგენა;
- გ) კბილთა ზედაპირების პროფილაქტიკური ფტორირება;
- დ) პაციენტის პირის ღრუს ჯანმრთელობაზე ზრუნვა;
- ე) ანესთეზიის გაკეთება.

გაითვალისწინეთ:

1. შესაფასებელი პირის მიერ შესრულებული სამუშაოს წარმოებისას ეკონომიური, ხარისხის უზრუნველყოფის, გარემოს დაცვის, სამართლებრივი, უსაფრთხოების წესების დაცვის, ჰიგიენის დაცვის მიდგომების, სამუშაოს შესრულების თანამიმდევრობის შეფასება წარმოადგენს ზემოთ ჩამოთვლილ დავალებებზე დაკვირვების თანამდევ პროცესს და მასზე დამატებითი დროის გამოყოფა არაა რეკომენდებული;
2. შემფასებლის მიერ დამატებითი კითხვების დასმის შემთხვევაში შესაფასებელი პირი პასუხობს მათ და საჭიროებისამებრ მოჰყავს საკუთარი ქმედების/ გადაწყვეტილების შესაბამისი არგუმენტები;
3. სავალდებულო კომპონენტის (გამოცდის) საკითხების შერჩევა ზემოთ მოცემული საკითხებიდან წარმოადგენს შემფასებლის პრეროგატივას.

ნაწილი 6. საჭიროების შემთხვევაში დამატებითი ინფორმაცია

შემფასებლის ჩანაწერების ფორმები

შესაფასებელი პირის სახელი, გვარი:

შეფასების თარიღი:

შეფასების ადგილი:

შემფასებლის სახელი, გვარი:

დადასტურებული კომპეტენცია	მტკიცებულებები		
	ფორმალური განათლების აღიარება (დანართი N)	არაფორმალური განათლების აღიარება (დანართი N)	გამოცდა (დანართი N)

შედეგი: დადასტურდა -----/ არ დადასტურდა -----

შემფასებლის კომენტარი:
დადასტურება: